28
ნოემბერი
სამშაბათი,
1961 წ.
№ 193 (1829)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული საქართველო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების, კავშირისა და პროფკავშირთა საბჭო რთველოს რესპუბლიკური კური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენდენტთა ტურნირის საბოლოო ცხრილი

იუგოსლავია, ვრნიაჩკა-ბანია. ოქტომბერი-ნოემბერი.

№	გონაწილენი		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	ქ	ადგ.
1	ნ. გაფრინდაშვილი	(სსრკ)		1	½	½	1	1	1	½	1	1	1	½	½	½	1	1	1	13	I
2	ვ. ბორისენკო	(სსრკ)	0		0	½	1	1	1	1	½	½	½	½	1	½	1	1	1	11	II
3	კ. ზვორიკინა	(სსრკ)	½	1		½	1	0	0	0	1	½	1	1	1	½	0	1	1	10	III
4	ვ. ნედელკოვიჩი	(იუგოს.)	½	½	½		0	0	½	1	½	½	½	½	½	1	1	1	1	9½	IV-VI
5	მ. ლაზარევიჩი	(იუგოს.)	0	0	0	1		1	0	1	½	1	0	1	1	½	1	1	½	9½	IV-VI
6	ტ. ზატულოვსკაია	(სსრკ)	0	0	1	1	0		1	0	0	½	0	1	1	1	1	1	1	9½	IV-VI
7	ა. ნიკოლაუ	(რუმ.)	0	0	1	½	1	0		1	1	½	½	½	0	½	1	½	1	9	VII-IX
8	ე. კარაკაშნე	(უნგ.)	½	0	1	0	0	1	0		0	1	½	1	½	1	½	1	1	9	VII-IX
9	ლ. ვოლპერტი	(სსრკ)	0	½	0	½	½	1	0	1		1	½	1	1	0	0	1	1	9	VII-IX
10	ე. ჰოლიჟრონიადე	(რუმ.)	0	½	½	½	0	½	½	0	0		1	½	1	1	0	1	1	8	X
11	გ. კონარკოვსკა	(პოლ.)	0	½	0	½	1	1	½	½	½	0		0	½	½	½	½	½	7	XI
12	გ. გრეესერი	(აშშ)	½	½	0	½	0	0	½	0	0	½	1		1	0	1	½	0	6	XII-XIV
13	ლ. ლეინი	(აშშ)	½	0	0	½	0	0	1	½	0	0	½	0		1	1	0	1	6	XII-XIV
14	შ. შოდე დე სილანი	(საფრ.)	½	½	½	0	½	0	½	0	1	0	½	1	0		½	0	½	6	XII-XIV
15	ფ. ჰეემსკერკი	(ჰოლ.)	0	0	1	0	0	0	0	½	1	1	½	0	0	½		0	1	5½	XV-XVI
16	ა. რინდერი	(გფრ)	0	0	0	0	0	0	½	0	0	0	½	½	1	1	1		1	5½	XV-XVI
17	ს. ჰუნდსგრენი	(მონღ.)	0	0	0	0	½	0	0	0	0	0	½	1	0	½	0	0		2½	XVII

შევუცვალოთ სახელი „ტორპედოს“

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა შესანიშნავმა გამარჯვებამ კიშინიოვის „სამთა ტურნირში“ დიდი სიხარული გამოიწვია სპორტის მოყვარულთა ფართო წრეებში. მართლაც, რა შეიძლება იყოს იმაზე სასიამოვნო, რომ თბილისის გარდა საქართველოს მეორე გუნდიც ეუოლება „ა“ კლასში და ეს გუნდი ქუთაისის წარმომადგენელი იქნება.

რედაქციაში ყოველ დღე შემოდის წერილები, სადაც მკითხველები ულოცავენ ქუთაისელ ფეხბურთელებს დიდ გამარჯვებას და უსურვებენ მათ ახალ წარმატებებს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე.

ყველაფერი ეს ბუნებრივია. 10 წელია ჩვენს რესპუბლიკას არა ჰყოლია მეორე გუნდი „ა“ კლასში და მხოლოდ ახლა მოგვეცა შესაძლებლობა ფართო სარბიელზე გამოვცადოთ ახალგაზრდობა, მივცეთ საშუალება პერსპექტიულ მოთამაშეებს არა სათადარიგოთა სკამიდან უყურონ თამაშებს, არამედ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა დიდ ბრძოლებში.

მაგრამ ჩვენი მკითხველების უმეტესობა გამოთქვამს აზრს, რომელიც ჩვენის აზრით საინტერესო და საყურადღებოა. ფეხბურთის მოყვარულები წინადადებას იძლევიან შეეცვალოს ქუთაისელთა კოლექტივს საკმაოდ ტრაფარეტული სახელწოდება „ტორპედო“ და შეერქვას სხვა რაიმე სახელი, რომელიც უფრო დამახასიათებელი და შესაფერისი იქნება მისთვის. გარდა ამისა ქუთაისელთა კოლექტივი არ მიეკუთვნება საზოგადოება „ტორპედოს“. იგი „განთიადის“ წევრია.

მაგალითად, ფეხბურთის მოყვარულნი ი. მღებრიშვილი, თ. მესხი, ნ. ბიწკინაშვილი, ჯ. ტაბატაძე, ე. მენაბდიშვილი გვთავაზობენ ქუთაისის გუნდს შეერქვას „რიონი“ ან „კოლხეთი“. არის სხვა ვარიანტებიც. ანალოგიური წერილებით მოგვმართეს ჭიათურიდან ნ. ბომართელმა, ვ. ნადირაძემ, თ. კანონიაშვილმა, ზ. კლდიაშვილმა, ზესტაფონიდან — ნ. ფერაძემ, გ. ქათამაძემ, მ. სოხაძემ, საჩხერიდან — გ. მაისურაძემ, მ. გულაშვილმა, თ. აბულაძემ, გ. თუშაშვილმა, ზ. მოდებაძემ და სხვებმა.

რედაქციისაგან: ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა წინადადება ყურადღების და მხარდაჭერის ღირსია. ეს წერილები გადაეგზავნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც თავის უახლოეს სხდომაზე განიხილავს აღნიშნულ საკითხს.

ქუთაისის ავტოქარხნის მუშამოსამსახურეთა დიდმა ჯგუფმა რედაქციაში გამოგზავნა წერილი, სადაც ისინი მოითხოვენ მათს გუნდს დაერქვას „კოლხეთი“. „ჩვენი ქარხნის სპორტულ კლუბს ჰქვია „კოლხეთი“, — წერენ ისინი, — ამიტომ გუნდსაც „კოლხეთი“ უნდა ერქვას“.

მართლაც იქნებ ჯობდა ქუთაისის „ტორპედოსათვის“ შეგვერქვა რაიმე კეთილხმოვანი, ორიგინალური, ქართული სახელი.

თბილისის გამარჯვება

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფება სამხრეთ ამერიკაში, კუბაში 3 გამარჯვების შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გაემგზავრნენ ბოლივიაში, სადაც პირველი შეხვედრა ჰქონდათ ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან „სტრონდკეტისთან“. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა.

„დინამოს“ ბოლივიაში

შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ“ — 2:1.

თბილისის „დინამო“ მორიგ შეხვედრას ჩაატარებს ხვალ, ბოლივიის კიდევ ერთ უძლიერეს გუნდთან. ამის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გაემგზავრებიან ეკვადორს, შემდეგ ისინი რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებენ მექსიკის უძლიერეს გუნდებთან.

ბაკო. (ტელეფონით). საბჭოთა კავშირის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის VII ტურში ყველაზე ადრე ყაიმით დასრულდა რიგელების — ტალისა და გიპსლისის შეხვედრა.

ცხარე ბრძოლით გამოირჩეოდა ხოლმოვ-ხასინის შეხვედრა. გროსმაისტერი ხოლმოვი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია, რაც ცხადათ ემჩნევა მის თამაშს. ამჯერადაც სოკელმა გროსმაისტერმა დიდი ალმაცლობით ჩაატარა პარტია და პირველი დამარცხება მიაყენა ხასინს. სპასკიმ ვერ გასტეხა ბრონშტეინის საკაიმო განწყობილება. ბრონშტეინმა რიგით მეექვსე ყაიმს მიაღწია, რის შემდეგ სპასკის დაეწია ხოლმოვი.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ტაიმანოვმა. მან კარგ სტილში დაამარცხა სმისლოვი. გურგენიძემ ციტნოტში ვერ ითამაშა კარგად პოლუგაევსკის წინააღმდეგ და დამარცხდა. კერესმა მოუგო ვლადიმიროვს, კოცმა — ბაგიროვს. ყაიმზე შეთანხმდნენ შამკოვიჩი და საკონი. ორი პარტია გადაიდო.

VII ტურის შემდეგ ბ. სპასკისა და რ. ხოლმოვს 5,5 ქულა აქვთ თვითეულს, ლ. შამკოვიჩს — 5 ქულა, ი. ავერბახს — 4,5 ქულა.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

სათხილამურო სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბენები და ზამთრის თანამედროვე ორჭიდი

სათანრიგო მოთხოვნები

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — საბჭოთა კავშირის პირველობაზე 15, 20, 30, 50 კმ დისტანციაზე ვაჟებმა და 5, 8, 10 კმ დისტანციაზე ქალებმა დაიკავონ I–II ადგილი პირველთანრიგოსან სპორტსმენთა შორის,

ან

საკავშირო, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო მასშტაბის შეჯიბრებაში იმავე დისტანციებზე დაიკავონ შემდეგი ადგილები პირველთანრიგოსანთა შორის, თუ შეჯიბრებაში მონაწილეობს სპორტსმენთა ქვემოთ ჩამოთვლილი რაოდენობა:

I ადგილი — 5 სპორტსმენი.

I–II ადგილი — 10 სპორტსმენი,

I–III ადგილი — 15 სპორტსმენი,

I–IV ადგილი — 20 სპორტსმენი.

I–V ადგილი — 24 სპორტსმენი და უფრო მეტი.

სპორტის ოსტატის ნორმა შესრულებულად ჩაითვლება, თუ ზემოაღნიშნული მოთხილამურეები მოუგებენ სპორტის ორ მოქმედ ოსტატს, რომლებიც დაამთავრებენ მოცემულ დისტანციას,

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე პროგრამის ერთ-ერთ დისტანციაზე დაიკავოს I ადგილი პირველთანრიგოსან სპორტსმენთა შორის, თუ მოცემულ დისტანციაზე მონაწილეობდა პირველთანრიგოსან სპორტსმენთა შემდეგი რაოდენობა:

ვაჟთა შორის 15 კმ — 100 სპორტსმენი.

„ „ 20 კმ — 90 სპორტსმენი.

„ „ 30 კმ — 70 სპორტსმენი.

„ „ 50 კმ — 40 სპორტსმენი,

ქალთა შორის 5 კმ — 75 სპორტსმენი.

„ „ 8 კმ — 60 სპორტსმენი.

„ „ 10 კმ — 50 სპორტსმენი.

სპორტის ოსტატის ნორმატივი შესრულებულად ითვლება, თუ ეს მოთხილამურეები მოუგებენ სპორტის არანაკლებ ორ მოქმედ ოსტატს, რომლებიც დაამთავრებენ მოცემულ დისტანციას.

სპორტის ოსტატის თანრიგის დასამტკიცებლად —არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე სეზონის განმავლობაში დაიკავოს ადგილი სპორტის ოსტატთა 50 პროცენტში.

შენიშვნა: სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება ჩაითვლება იმ პირობით, თუ სარბენ ტრასას (მთელ დისტანციაზე) აქვს სიმაღლეთა ვარდნილების შემდეგი ჯამი: ვაჟებისათვის 15 კილომეტრზე —400 მ, 20 კილომეტრზე—600 მ, 30 კილომეტრზე — 750 მ. 50 კილომეტრზე — 1200 მ. ქალებისათვის 5 კილომეტრზე — 120 მ, 8 კილომეტრზე — 180 მ, 10 კილომეტრზე — 250 მ.

სათანრიგო ნორმები

ვაჟები

თანრიგი	დისტანცია (კმ-ებში)							
	3	5	10	15	18	20	30	50
I	—	—	37.30	57.10	1:09.10	1:17.20	1:59.20	3:30.00
II	—	21.00	42.50	1:05.20	1:19.10	1:28.40	2:17.[illegible]0	4:05.00
III	—	23.30	48.00	1:13.30	1:29.[illegible]0	1:40.00	2:36.00	4:40.00
მოზარდთა I	15.20	25.50	52.50	—	—	—	—	—
მოზარდთა II	16.50	28.20	—	—	—	—	—	—

ქალები

თანრიგი	დისტანცია (კმ-ებში)				
	2	3	5	8	10
I	—	—	22.10	36.30	46.30
II	—	14.50	25.20	42.20	54.20
III	—	16.30	28.30	48.00	1:02.00
მოზარდთა I	11.50	18.00	31.20	—	—
მოზარდთა II	13.00	19.50	—	—	—

თანრიგის დასამტკიცებლად — შეასრულოს იგივე მოთხოვნები და ნორმატივები.

სათანრიგო მოთხოვნები

(მხოლოდ იმ შეჯიბრებისათვის, რომელიც ტარდება 0 გრადუს ტემპერატურის ზევით)

I თანრიგი — დაიკავოს I–V ადგილი არანაკლებ მეორე თანრიგის შედეგით დისტანციადამთავრებულ 50 მეორეთანრიგოსან სპორტსმენს შორის.

II თანრიგი — დაიკავოს I–V ადგილი არანაკლებ მესამეთანრიგის შედეგით დისტანცია დამთავრებულ 50 მესამეთანრიგოსან სპორტსმენს შორის.

III თანრიგი — დაიკავოს I–III ადგილი დისტანციადამთავრებულ 30 ახალბედას შორის.

მოზარდთა I თანრიგი — დაიკავოს I ადგილი დისტანციადამთავრებულ მოზარდთა 10 მეორეთანრიგოსანს შორის.

მოზარდთა II თანრიგი — დაიკავოს I ადგილი დისტანციადამთავრებულ 10 მოზარდს შორის.

ქალები

I თანრიგი — დაიკავოს I–V ადგილი არანაკლებ მეორე თანრიგის შედეგით დისტანციადამთავრებულ 50 მეორეთანრიგოსან სპორტსმენს შორის.

II თანრიგი — დაიკავოს I–V ადგილი არანაკლებ მესამე თანრიგის შედეგით დისტანციადამთავრებულ 50 მესამეთანრიგოსან სპორტსმენს შორის.

III თანრიგი — დაიკავოს I–III ადგილი დისტანციადამთავრებულ 30 ახალბედას შორის.

მოზარდთა I თანრიგი — დაიკავოს 1 ადგილი დისტანციადამთავრებულ მოზარდთა 10 მეორეთანრიგოსანს შორის.

მოზარდთა II თანრიგი — დაიკავოს პირველი ადგილი 10 ახალბედას შორის.

შენიშვნა: დისტანციადამთავრებულ მონაწილეთა რაოდენობის ყოველი 10 კაცით გაზრდის შემთხვევაში ემატება თითო ადგილი მომდევნო მაღალი თანრიგის მისანიჭებლად.

ზამთრის თანამედროვე ორჭიდი

(სათხილამურო რბენები 20 კილო მეტრზე, სროლით)

სათანრიგო მოთხოვნები

სპორტის ოსტატი—დაიკავოს I–V ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე,

ან

დაიკავოს I–III ადგილი საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებაზე,

ან

დაიკავოს I–III ადგილი საკავშირო ან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაზე იმ პირობით თუ დისტანციას დაფარავს 1 საათსა და 30 წუთში. ამასთან ექნება არანაკლებ 16 მოხვედრისა სროლაში.

შენიშვნა: 20 კილომეტრიან რბენაში საათხილამურო ტრასის სიმაღლეთა ვარდნილების ჯამი უნდა უდრიდეს არანაკლებ 400 მეტრს.

სათანრიგო ნორმები

თანრიგი	საბრძოლო შაშხანა		მცირეკალიბრიანი შაშხანა	
	დისტანცია 20 კმ	მოხვედრათა რაოდენობა სროლაში	დისტანცია 20 კმ	მოხვედრათა რაოდენობა სროლაში
I	1:33.00	14	1:33.00	16
II	1:40.00	12	1:40.00	14
III	1:51.00	10	1:51.00	12

შენიშვნა: შეჯიბრების დროს მცირეკალიბრიან შაშხანიდან სროლა ტარდება ოთხ ტირში მანძილებზე: სამ ტირში 100 მეტრზე ნებისმიერი მდგომარეობიდან და 50 მეტრზე დგომელა მდგომარეობიდან; ოცსანტიმეტრიანი დიამეტრის მქონე მრგვალი ფარის ქვედა ნაწილი შეჭრილია 5 სანტიმეტრით.

სათანრიგო ნორმატივებისა და მოთხოვნების შესრულება ჩაითვლება თუ სპორტსმენი მოცემულ სეზონში მონაწილეობდა შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში:

შეჯიბრების სახეობა	თანრიგი					
	სპორტის ოსტატი	I	II	III	მოზარდ. I ან	მოზარდ. II ან
სათხილამურო რბოლები	8	6	5	5	4	3
ზამთრის თანამედროვე ორჭიდი:						
ა) სათხილამურო რბოლები	4	3	3	3	—	—
ბ) ორჭიდი	4	3	2	2	—	—

აქტიური მუშაოგისათვის

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

ა. კლიმოვი — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორი, საზოგადოებრივი მწვრთნელი ველოსპორტში; ე. ნიჟარაძე — ავტოქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარის მოადგილე, ნ. ლობჟანიძე—თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის სართავი საამქროს ოსტატი, საზოგადოებრივი მწვრთნელი კალათბურთში; გ. დვალი — სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

საკავშირო პროფსაბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ:

შ. კიკნაძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი, ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე. დ. შენგელია — ავტოქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი, გ. ქვარიანი — ავტოქარხნის გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორი; ი. გოგოლაშვილი — ავტოქარხნის ადგილკომის თავმჯდომარე; ა. ბარათაშვილი — ავტოქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის აქტივისტი; ს. ბრიუხანოვი — თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის საზოგადოებრივი მწვრთნელი ფრენბურთში; მ. მურაბოტოვა — სატრიკოტაჟო კომბინატის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე; ო. ბეჟუაშვილი — სატრიკოტაჟო კომბინატის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე; ნ. ივაშკოვა — სატრიკოტაჟო კომბინატის საზოგადოებრივი მწვრთნელი მძლეოსნობაში და მ. კარაპეტიანი.

რაიონული გაზეთის თასზე

ჩატარდა წითელწყაროს რაიონის გაზეთ „ახალი შირაქის“ თასის გათამაშება ფეხბურთში, მოსწავლეთა რაიონული პირველობა მძლეოსნობაში და გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

გაზეთ „ახალი შირაქის“ თასი და პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვეს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა, თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც სოფელ ქვემო ქედის საკოლმეურნეო კლუბში გაიმართა, პირველი ადგილი დაიკავა ქვემო ქედის მოჭიდავეთა ნაკრებმა. გუნდმა, ხოლო მძლეოსნობაში, რომელიც ასაკობრივ ჯგუფებად ჩატარდა, გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ ზემომაჩხაანის საშუალო სკოლის მძლეოსნებს.

ე. ჯანყარაშვილი

ლ ე ლ ო

ფე-2 გვ. № 193 (1829)

ვის აცყუებს „დერ მიჰელი?“

სექტემბერში დასავლეთ გერმანიაში გაიმართა ბუნდესტაგის მორიგი არჩევნები. კვლავ მაქსიმალურებითა და მოტყუებით ხმების უმრავლესობა მიიღო ადენაუერის ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ. როგორც ახლა ცნობილი გახდა, ადენაუერის პარტია თავის წინასაარჩევნო პერიოდში ეწეოდა სხვადასხვა ბინძურ საქმიანობას.

— დასავლეთგერმანელი სპორტსმენებიც კი ჩათრეულ იყვნენ იმ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავდა არჩევნებში გამარჯვება მოეტანა ადენაუერისა და მისი პარტიისათვის — წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთი „ნეიე ცეიტი“.

ყველაფერი გაირკვა არჩევნების ჩატარების შემდეგ. საქმე იმაშია, რომ ჰამბურგის გაზეთმა „დერ მიჰელმა“ წინასაარჩევნო კომპანიის დროს თავის ფურცლებზე დაბეჭდა ინტერვიუ ვ გამოჩენილ გერმანელ სპორტსმენთან — მსოფლიო ექს-ჩემპიონ მაქს შმელინგთან, გფრ-ს ჩემპიონ „ჰამბურგ სფ-ს“ ფეხბურთელებთან — უვე ზეელერთან და იურგენ ვერნერთან. ამ ინტერვიუში სამივე სპორტსმენი ქებას ასხამდა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის „ბრძნულ“ პოლიტიკას, წინადადებას აძლევდა ყველა დასავლეთგერმანელ სპორტსმენს ხმა მიეცათ ამ პარტიისათვის.

ცნობილი არაა თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ინტერვიუმ დასავლეთგერმანელ სპორტის მოყვარულებზე. ერთი კი ფაქტია, რომ ამ ამბავმა აღაშფოთა ინტერვიუს მიმცემი სპორტსმენები. მაქს შმელინგმა „დერ მიჰელის“ რედაქციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც სხვათაშორის წერია: „მე გაკვირვებული დავრჩი იმ ამბავით, რომ თქვენ თურმე ჩემთან სტუმრად ყოფილხართ და მე გამიზიარებია საკუთარი აზრები. ყოველივე ეს მოჭორილია, სიყალბეა, მე პროტესტს გამოვთქვამ ამ ამბავის გამო“. მსგავსი პროტესტი განაცხადა აგრეთვე გფრ-ს ფეხბურთის ვარსკვლავმა უვე ზეელერმა, ხოლო იურგენ ვერნერი, გაკვირვებულია „თავისი სტატიით, რომელიც დაიბეჭდა „დერ მიჰელის“ ფურცლებზე.

რ ე პ ო ზ ი ტ ო რ ი ა
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ფინიშის სწორგზე

გასულ კვირას სარატოვში ახლადაგებულ 50-მეტრიან საწყლოსნო აუზში დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა გუნდების დასკვნითი შეხვედრები. თუ კი ლიდერთა ჯგუფის წევრებს — ვმფ-ს, მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვთ — მოიპოვონ საპრიზო ადგილები, აუტსაიდერებსაც გაუჩნდათ საზრუნავი. საქმე იმაშია, რომ თვითეული მათგანი იბრძოლებს მოხვდეს ექვსეულში, რათა ამ გუნდების წევრებმა მოიპოვონ სპორტის ოსტატის წოდება.

პირველი დღის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრა. უკანასკნელ პერიოდამდე წინ იყვნენ დინამოელები — 2:1. მაგრამ ბოლო წუთებზე ბურევესტნიკელმა ვ. კურენნოიმ დამარცხებისაგან იხსნა თავისი გუნდი — 2:2.

კიდევ ერთი ფრე იქნა ფიქსირებული ამ დღეს. წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიისა და ლენინგრადის „ბალტიკას“ წყალბურთელთა შეხვედრაში ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 5:5. დანარჩენი შეხვედრები ყოველგვარი სპორტული დაძაბულობის გარეშე ჩატარდა. თბილისის დინამოელებმა მაღალ ტემპში ჩაატარეს თამაში რსფსრ-ს „ტრუდის“ გუნდთან, მეტოქის კარში 6 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში ერთი მიიღეს. როგორც მოსალოდნელი იყო, გათამაშების ლიდერმა ვმფ-მა კიდევ 2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში, როცა ანგარიშით 5:2 მოუგოლვოვის „დინამოს“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ვმფ	8	7	1	0	31:13	15
„დინამო“ მ.	8	6	2	0	35:16	14
„დინამო“ თბ.	8	6	0	2	25:15	12
„ბურევესტნიკი“ მ.	8	4	1	3	19:16	8
„დინამო“ ლვ.	8	2	1	5	16:27	5
„ბალტიკა“ ლდ.	8	0	4	4	13:25	4
„ტრუდი“ რსფსრ	8	1	2	5	15:31	4
კ კ ფ ბაქო	8	0	2	6	20:31	2

ე. კაკაბაძე — ფინალში

მინსკის ნახევარფინალში სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXII ჩემპიონატის მესამე ფინალისტის საკითხი ღიად დარჩა, ვინაიდან მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ნ. ვოიცეკმა (მოსკოვი) და ე. კაკაბაძემ. დებულების მიხედვით მათ შორის დაინიშნა მატჩი (4 პარტია).

ამ ორიოდე დღის წინ მოსკოვში მოეწყო ეს მატჩი. პირველი პარტია მოიგო კაკაბაძემ, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში დამარცხდა. ბოლო პარტია კაკაბაძემ კვლავ მოიგო. ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:2. მაგრამ იმის გამო, რომ ნახევარფინალში კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით კაკაბაძეს უპირატესობა ჰქონდა, ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მას მიენიჭა.

კეთილშობილური შეფობა

როგორც ცნობილია, თბილისში გასტროლებზე იმყოფება ჩეხოსლოვაკიის ბალეტი ყინულზე — „ევროპის გულში“. მისი მსახიობების გამოსვლა, რომელთა შორის ევროპისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი ფიგურისტებიც არიან, ბევრ საინტერესო და ლამაზ სანახაობას სთავაზობს თბილისელ მაყურებლებს.

მაგრამ მხოლოდ ზემოაღნიშნული გარემოება არ ამოწურავს ჩვენი სტუმრების მოღვაწეობას თბილისში ყოფნის პერიოდში. ჩვენს დედაქალაქში ჩეხმა მსახიობებმა შეიტყეს, რომ ფიგურული სრიალი საქართველოშიც ინერგება: დილის საათებში ისინი ყოველდღიურად ხედავდნენ ცეროდენებს, რომლებიც ციგურებით დაჰქროდნენ იმავე ყინულოვან სარბიელზე, სადაც მათ საღამოობით უწევთ გამოსვლა ხალხმრავალი ტრიბუნების წინაშე.

— ვინ არიან ეს პატარები? — იკითხა ერთ-ერთმა მათგანმა — ი. ბურაკოვამ.

— ესენი ჩვენი მომავალი ჩემპიონები არიან ფიგურულ სრიალში, — ღიმილით უპასუხა ბავშვების მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ე. პლინერმა.

სტუმრები გააოცა ამ სპორტულ ხელოვნებაში გაერთიანებული ბავშვების სიმრავლემ. ახალგაზრდობის დიდი ინტერესი ამ სახეობისადმი ყოველთვის უტყუარი საწინდარია მომავალი წარმატებებისა, — თქვეს მათ.

—მაგრამ, როგორ სწვდებით ამდენი ბავშვის მეცადინეობას? — ჰკითხა მწვრთნელს ი. კნაპეშმა.

— ვცდილობთ ყოველნაირად! ძირითადად კი იმით, რომ ვიხმარობენ „საზოგადოებრივ აქტივს“, ჩვენივე აღზრდილებს.

სტუმრებმა მაშინვე გამოიჩინეს დახმარების მეგობრული, გულითადი სურვილი.

— თუ თქვენი სურვილიც იქნება, ჩვენც სიამოვნებით ჩავეწერებით თქვენს საზოგადოებრივ აქტივში! — წამოიძახა ი. ბურაკოვამ, — ეს ძალიან საინტერესო სამუშაო იქნება!

სპორტსმენი მაშინვე შეუდგა თავის ახალ „მოვალეობას“. პირველ სურათზე თქვენ სწორედ „ბურევესტნიკის“ სპორტული სკოლის მოციგურავეთა შეფს — ი. ბურაკოვას ხედავთ, რომელიც თავის გამოცდილებას უზიარებს ქართველ გოგონებს.

და განა მარტო იგი! ჩეხოსლოვაკიის ბალეტის წევრები ი. კნაპეში, ი. იანდოვა, დ. იროვა და სხვანი ი. ბურაკოვასთან ერთად სისტემატურად მოდიან ხოლმე ჩვენი პატარების წვრთნაზე და გატაცებით ეხმარებიან მწვრთნელს მის საქმიანობაში.

მეორე სურათზე ნორჩ მოციგურავეთა ფერხულში სპორტის ოსტატ ე. პლინერთან ერთად (მარცხნივ) ჩაბმული არიან ი. ბურაკოვა და დ. იროვა.

„ვეტერანმა“ შეინარჩუნა თასი

ფარიკაობაში სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკაველები ჩაებნენ უმაღლესი პრიზისათვის ბრძოლის მეორე ეტაპში — საქართველოს თასის გათამაშებაში.

სანამ შეჯიბრების აღწერას შეუდგებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ქუთაისმა, რომელსაც თბილისის შემდეგ მოფარიკავეთა უძლიერესი ჯგუფი ჰყავს, არ გამოაგზავნა მონაწილეები, რის გამოც ამ სახეობაში მდგომარეობის სრული სურათი ვერ მივიღეთ.

პირველ დღეს გამართულმა შეჯიბრებამ დაშნით მებრძოლთა შორის სიურპრიზი გაუმზადა სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებს. 17 წლის გ. აბსავამ (გაგრა), რომელიც პირველად მონაწილეობდა მოზრდილთა შეჯიბრებაზე, ნახევარფინალში გასვლამდე დაამარცხა საქართველოს ნაკრების ორი ძლიერი მოფარიკავე — სპორტის ოსტატი ა. პეტროსოვი და პირველთანრიგოსანი ზ. ცქიტიშვილი (შესაბამისად 11:9 და 12:10).

კარგი ფიზიკური და ტექნიკური მონაცემების მქონე სპორტსმენის წინსვლას ნახევარფინალში წერტილი დაუსვა ა. გოგელიას გამოცდილებამ. მიუხედავად ამისა გ. აბსავამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და სათანადო წვრთნის შედეგად ხალხთა სპარტაკიადისათვის შეიძლება წამყვან სპორტსმენთა რიგებში ჩადგეს.

ნახევარფინალის მეორე წყვილის — სპორტის ოსტატების რ. გოშაძისა და შ. სულამანიძის მეტად დაძაბული ბრძოლა უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 11:9.

თასისათვის ბრძოლის ფინალი გასული წლის სურათის განმეორებას წარმოადგენდა. ბილიკზე ამჯერადაც ძველი მეტოქეები დადგნენ — კ. გოგელია და შ. სულამანიძე.

უნივერსიტეტის სტუდენტმა შ. სულამანიძემ უაღრესად მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა გამოცდილი მოწინააღმდეგე და მეორედ გახდა საქართველოს თასის მფლობელი.

ქალთა ფარიკაობის საერთო მომზადების დონე კვლავ არასახარბიელო სურათს იძლევა. პირველობის ერთ-ერთმა მოსალოდნელმა პრეტენდენტმა — სპორტის ოსტატმა ლ. ფანჩვიძემ შეხვედრები უფერულად ჩაატარა და დამარცხება განიცადა „მეორე ეშელონის“ წარმომადგენელ ნ. დობორჯგინიძესთან (განათლების განყოფილების სპორტული სკოლა) — 4 : 8. სასიხარულოა, როცა ახალგაზრდა მოფარიკავე უგებს გამოცდილ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს საკუთარი ტექნიკის ზრდისა და არა მოწინააღმდეგის უპასუხისმგებლობის ხარჯზე.

ფინალისაკენ მიმავალ გზაზე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ჯ. გიორგაძემ (უნივერსიტეტი) უკანასკნელი სერიოზული მოწინააღმდეგე გ. გორდაძეც ჩამოიცილა— 10:8 და მშვიდად ელოდა დ. ლორთქიფანიძისა და ნ. დობორჯგინიძის შეხვედრის დამთავრებას, რომელსაც მისი მეტოქე უნდა გამოევლინებინა.

ბრძოლა დობორჯგინიძის სასარგებლოდ გადაწყდა — 8 : 6. ფინალურ შეხვედრამდე ჩატარდა გ. გორდაძისა და დ. ლორთქიფანიძის ბრძოლა მესამე ადგილისათვის. ჩვენ განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ მასზე, ვინაიდან მსგავსი ეპიზოდი არც თუ ისე იშვიათია მოფარიკავეთა შეჯიბრებებზე: გორდაძე, რომელმაც დაკარგა პირველობისათვის ბრძოლის უფლება, ბილიკზე მხოლოდ „ვალის მოსახდელად“ გამოვიდა და ფაქტიურად უძრავ სამიზნედ დაუდგა მოწინააღმდეგეს. როცა ანგარიში 5 : 0 გახდა ლორთქიფანიძის სასარგებლოდ, სსრკ დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. მეიფარიანმა შენიშვნა მისცა გ. გორდაძეს, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდა და ზედიზედ 6 ჩხვლეტაც მიაყენა მოწინააღმდეგეს. ბრძოლა მაინც ლორთქიფანიძის გამარჯვებით დამთავრდა — 8 : 6. ვფიქრობ, ეს მანკიერი ჩვეულება უნდა აღმოიფხვრას.

ფინალურ შეხვედრაში ფარიკაობის „ვეტერანი“ — ჯ. გიორგაძე შეტევაზე გადმოსული ლორთქიფანიძის ყოველ შეცდომას იყენებდა ანგარიშის გასაზრდელად და გამარჯვებაც მას დარჩა — 8 : 5.

თასი ორივე სახეობაში უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დარჩათ.

გ. სამსონაძე.

• • •

სურათზე: ბრძოლა საფარიკაო ბილიკზე.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 193 (1829)



სურათზე: ოლიმპიური და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ლ. ლატინინა.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

ფეხბურთის ყოველი კვირა

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონების ტრადიციული თასის გათამაშებაში (1962-63 წლებიდან) მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც. ეს იქნება თასის მერე გათამაშება.

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ევროპაში მიავლინოს ეროვნული ნაკრები. ურუგვაელები ევროპაში ოთხ მატჩს გამართავენ უძლიერეს გუნდებთან: 10 აპრილს ისინი ლონდონში ეთამაშებიან ინგლისის ნაკრებს, 17 აპრილს პარიზში — ფრანგებს, 22 აპრილს პრაღაში ჩეხოსლოვაკელებს და 27 აპრილს მოსკოვში — საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

ბრიტანეთის ოთხი ნაკრებას (ინგლისი, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია, უელსი) ტრადიციულ ჩემპიონატის მატჩი შედგა ქ. კარდიფში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა დ უელსის გუნდები. ორივე ნაკრებში რამდენიმე დებიუტანტი თამაშობდა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სანტ-იაგოს სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძლები — ჩილის ეროვნული ნაკრები და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაის ნაკრები. აქამდე ჩილელებმა ამ მოედანზე იოლად სძლიეს თავიანთ მეზობლის — პერუს გუნდს (4:1) და დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებიც (3:1). ამჯერად 40 ათასი მაყურებელი თვალყურს ადევნებდა მეტად საინტერესო ბრძოლას, რომელიც მოიგეს ურუგვაელებმა ანგარიშით 3:2.

პარაგვაის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მექსიკელებთან შესახვედრად ემზადება, საწვრთნელი მატჩი გამართა ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. არგენტინელები დიდი აღმავლობით თამაშობდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

როგორც რომის გაზეთი „უნიტა“ იუწყება, ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ფერარიმ ჟურნალისტებს გააცნო იტალიელთა გუნდის შემადგენლობა, რომელიც [illegible] ჩატარებს უახლოეს საერთაშორისო თამაშებს. მეკარე ბუფონი, მცველები: მალდინი, კასტელეტი, ნახევარმცველები: ბოლჩი (ემოლი), ლოსი, ტრაპატონი, თავდასხმა: მორა, ლოიაკონო, ალტაფინი (ანჯელილო), სივორი, კორსო.

საყურადღებოა, რომ ნაკრებში პირველად იქნა შეყვანილი ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ცენტრ-ფორვარდი ალტაფინი (მაცოლა), რომელზედაც მწვრთნელი ფერარი დიდ იმედებს ამყარებს. თავდასხმაში შედის აგრეთვე არგენტინის ნაკრების სამი ყოფილი მოთამაშე — ანჯელილო, ლოიაკონო და სივორი.

ფინალში

26 ნოემბერს გამოვლინდა ჟიულ რიმეს თასის გათამაშების ფინალური ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე.

იუგოსლავიის ფეხბურთელებს სამხრეთ კორეის გუნდთან დარჩენილი ჰქონდათ ერთი მატჩი, რომელიც განვლილ კვირას შედგა სეულში. იუგოსლაველებმა მოიგეს იგი ანგარიშით 3:1 და გავიდნენ ჩილის ფინალში.

მორლოკი პირველ ადგილზე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის „ნიურნბერგის“ ახლანდელი კაპიტანი, 36 წლის მაქს მორლოკი (№ 8) ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილი გახდა 1954 წელს, როდესაც საუცხოოდ ითამაშა მსოფლიოს V ჩემპიონატში და განსაკუთრებით ბოლო მატჩში (ბერნში). ამ შეხვედრაში, როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა სძლია უნგრეთის „დიდ გუნდს“ და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. ამის შემდეგ მორლოკმა ბევრჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში.

წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული კონკურსი ჩატარდა. მათ უნდა დაესახელებინათ სეზონის საუკეთესო სპორტსმენი. ბევრი მოელოდა, რომ პირველი ადგილი „ჰამბურგერ შპორტ-ფერაინის“ მოთამაშე უვე ზეელერს დარჩებოდა, მაგრამ ზეელერმა 444 ხმიდან მხოლოდ 80 მიიღო. პირველი ადგილი დარჩა მაქს მორლოკს.

ევროპის ჩემპიონთა თასი ხელბურთში

ხელბურთში (7×7) ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება წელს მეოთხედ ტარდება. ეს პრიზი დაწესებულია ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ მიერ 1957 წელს. პრიზის პირველი მფლობელები გახდნენ პრაღის ნაკრები გუნდის ხელბურთელები. მომდევნო წელს თასის გათამაშება არ შემდგარა, ვინაიდან სპორტის ამ სახეობაში მიმდინარეობდა მესამე მსოფლიო ჩემპიონატი. 1959 წელს თასისათვის იბრძოდნენ არა ქალაქების ნაკრების გუნდები, არამედ ეროვნული ჩემპიონები, თასის გათამაშებაში მაშინ 12-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „რიკ-გეტინგენი“ (შვეცია) და „ფა-გეტინგენი“ (გფრ). შვედეთმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს (18:13) დასავლეთ-გერმანელ სპორტსმენებზე და ჩემპიონთა თასმა შვეციაში გადაინაცვლა. 1960 წელს მესამე გათამაშების ფინალში კვლავ გავიდა გფრ-ს გუნდი „ფა-გეტინგენი“. მეორე ფინალისტი იყო „ორჰუსი“ (დანია). საფინალო მატჩმა გამარჯვების სასწორი „გეტინგენისაკენ“ გადასწია, იმავე ანგარიშით (18:13), ამ შეჯიბრებაში მაშინ 14 ეროვნული ჩემპიონი მონაწილეობდა. წელს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს 20 ქვეყნის ჩემპიონი. ამ საინტერესო გათამაშების მონაწილეთა შორის პირველად ვიხილავთ საბჭოთა კავშირის ხელბურთელებსაც. ამჯერად, თასისათვის ბრძოლაში მონაწილეობის უფლება აქვს კიევის „ბურევესტნიკს“.

კენჭისყრის შედეგად ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების კალენდარი ასე გამოიყურება: მერვედფინალში ერთმანეთს ხვდებიან გფრ-სა და ბელგიის, საფრანგეთისა და ესპანეთ-მაროკოს მატჩში გამარჯვებული, გდრ-სა და პოლონეთ-უნგრეთის მატჩში გამარჯვებული, შვეიცარიისა და ჰოლანდია-ლუქსემბურგის მატჩში გამარჯვებული, იუგოსლავიისა და ავსტრიის, შვეციისა და სსრ კავშირ-ფინეთის მატჩში გამარჯვებული, აგრეთვე ნორვეგიისა და დანიის ხელბურთელთა გუნდები.

როგორც წინასწარი თამაშები, ისე ფინალი ერთ წრედ ჩატარდება. მეთექვსმეტედ და მერვედფინალები მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება, მეოთხედფინალები და ნახევარფინალები — მომავალი წლის იანვარ-მარტში, ხოლო ფინალი — აპრილში.

მერვედფინალში მოხვედრისათვის კიეველ ხელბურთელებს უნდა გაემარჯვათ ფინეთის ჩემპიონ „არსენალთან“. ეს გუნდი შედგება გამოცდილი მოთამაშეებისაგან, მათ რიგებში 3 ხელბურთელი ეროვნული ნაკრების წევრია. კიევის „ბურევესტნიკმა“ „არსენალთან“ შეხვედრის წინ ორი საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა ქალაქ პლზენის (ჩეხოსლოვაკია) „სპარტაკთან“. „ბურევესტნიკმა“ პირველი მატჩი მოიგო მინიმალური განსხვავებით — 20:19, ხოლო მეორე წააგო ასეთივე ანგარიშით, უნდა შევნიშნოთ, რომ სულ ახლახან პლზენის „სპარტაკთან“ მოწყობილ ორ საერთაშორისო შეხვედრაში თბილისელებმაც ასევე ერთი გამარჯვება მოიპოვეს და ერთი მატჩი წააგეს (22:18 და 17:23).

კიევის „ბურევესტნიკისა“ და ფინეთის „არსენალის“ შეხვედრა, რომელიც ამ ორი დღის წინათ შედგა კიევში, დამთავრდა უკრაინელთა დამაჯერებელი გამარჯვებით — 26:11, ამგვარად, კიეველებმა მერვედფინალში შვეციის ხელბურთელებთან შეხვედრის უფლება მოიპოვეს.

ტურნირები პატარა ბურთით

კაუნასი. აქ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს მოსკოვის, ვილნიუსის, კაუნასისა და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენის უძლიერეს ხელბურთელ (7×7) ვაჟთა გუნდების ტურნირი.

ტურნირის პირველ დღეს ლიტვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი „ატლეტი“ დამარცხდა მოსკოველ ხელბურთელებთან შეხვედრაში — 16:21. ჩეხოსლოვაკელმა ხელბურთელებმა სძლიეს ვილნიუსის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის გუნდს — 23:12. ტურნირი გრძელდება.

* * *

პრაღა. აქ უკვე მეოთხედ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში (7×7) „პრაღის პრიზზე“. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდნენ დანიელი და რუმინელი ხელბურთელები. დიდი წარმატებით დაამთავრა შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიის პირველმა ნაკრებმა, პრაღელებს არცერთი შეხვედრა არ წაუგიათ და მოგროვილი 10 ქულით პირველი ადგილი მოიპოვეს, მეორე ადგილზე გავიდა რუმინეთის გუნდი (ორი წაგებით), ასეთივე შედეგით, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდებით მესამე ადგილი წილად ხვდა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდულ ნაკრებს.

დღეს!

კლასიკური ჰიდაოგა
ჩეხოსლოვაკია-საქართველო
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04120